ევროკომისია

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობა

განმარტებები სამრეწველო პროდუქციასთან დაკავშირებით

ფაქტობრივი მონაცემები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ

ევროკავშირი და საქართველო შეთანხმდნენ რეფორმის გეგმაზე, რომლის მიზანია ე.წ. "ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების" (TBT) დაძლევა. ტექნიკურ ბარიერები მაშინ ახდენენ გავლენას სამრეწველო პროდუქციაზე, როდესაც, მაგალითად, პროდუქციის უსაფრთხოებისა და მარკირების სფეროში ორი ქვეყანა განსხვავებულ წესებს იყენებს.
გადაწყდა, რომ ევროკავშირი და საქართველო ერთად იმუშავებენ და კონკრეტული საქონლისა თუ სექტორების რეგულირებისას ერთსა და იმავე მიდგომას გამოიყენებენ. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ეს მიდგომა ევროპულ წესებს დაეყრდნობა.

განა წესები აუცილებელია?

განსხვავებული წესები დამატებით ხარჯებს იწვევს ბიზნესისა და მომხმარებლებისათვის, მაგრამ წესების არარსებობას კიდევ უფრო მეტი ხარჯები მოაქვს. მოუწესრიგებელი სასაქონლო ბაზარი შეიძლება საშიში იყოს და საფრთხეს უქმნიდეს ადამიანების ჯანმრთელობას, სიცოცხლესაც კი, და ზიანს აყენებდეს გარემოს. წარმოიდგინეთ რა მოხდებოდა სათამაშოები, საყოფაცხოვრებო ნივთები, მანქანები და სამშენებლო მასალები გარკვეულ სტანდარტებს რომ არ აკმაყოფილებდნენ.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) მოხსნის განსხვავებებს გარკვეული საქონლის ან სექტორის რეგულირებისას გამოყენებულ წესებს შორის. საბოლოოდ საქართველოში გამოყენებული წესები ევროკავშრის წესების მსგავსი გახდება, ეს კი ხელს შეუწყობს ვაჭრობას, გამოიწვევს საქართველოში დამზადებული საქონლის ხარისხის ეტაპობრივ გაუმჯობესებას და შესაბამისად, ეს საქონელი ექსპორტისთვის უფრო მიმზიდველი გახდება. გაუმჯობესდება ასევე საქონლის (მათ შორის, იმპორტირებულის) უსაფრთხოება, შემცირდება გარემოსთვის მიყენებული ზიანი და უბედური შემთხვევების რისკი ყველა მომხმარებლისათვის.

თქვენ, როგორც ექსპორტიორს უნდა გახსოვდეს, რომ:

- საქართველომ ყურადღებით შეისწავლა საქონლის რეგულირებასა და ტექნიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებული ევროკავშირის ყველა შესაბამისი წესი და ისეთი წესები შეარჩია, რომელთა ქვეყანაში დანერგვაზეც თანახმაა. წესები ქვეყანაში არსებულ შიდა წარმოებაზე, ექსპორტის გაზრდისა და მომხმარებლის უსაფრთხოების გაუმჯობესების საჭიროებაზე დაყრდნობით შეირჩა.
- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში საქართველო განახორციელებს ევროკავშირის 21 რეგულაციას. რეგულირებას დაექვემდებარება სათამაშოები, სამედიცინო მოწყობილობები, სამშენებლო მასალები, ლიფტები, საბაგირო მოწყობილობები, ელექტრომოწყობილობები და ასაფეთქებელი მასალები.
- ევროკავშირში მწარმოებლები იყენებენ საერთაშორისო (ISO) და ევროპულ სტანდარტებს, რომელიც მსოფლიოში ხარისხის სიმბოლოდაა აღიარებული.
- რეფორმების განხორციელებისთვის გათვალისწინებულია რვა წელი. ეს ვადა საქონლის სახეობაზე/სექტორზეა დამოკიდებული. ევროპელი ექსპერტები დაეხმარებიან საქართველოს ამ პროცესში. ევროკავშირი და საქართველო რეგულარულად განიხილავენ მიღწეულ წინსვლასა და პრობლემურ საკითხებს.

იცოდით თუ არა, რომ...

...თავისი საქონლის წარმოებისას მწარმოებელს შეუძლია მრავალი ნებაყოფლობითი სდანდარტიდან დააკმაყოფილოს ერთ-ერთი

...რეფორმების დასრულების შემდეგ ევროკავშირმა და საქართველომ, შესაძლოა, გააფორმონ სპეციალური შეთანხმება, რომლის საფუძველზე შესაძლებელი გახდება გარკვეული საქონლით თავისუფლად ვაჭრობა ევროკავშირსა და საქართველო შორის, ზუსტად ისევე, როგორც ეს დღეს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ხდება.

ევროკომისია

მე ვარ ქართველი მწარმოებელი/იმპორტიორი – რა უნდა ვიცოდე?

თითოეული სახეობის საქონლისთვის კონკრეტული წესებია დადგენილი. ახალი წესების ძალაში შესვლისას მწარმოებლებმა/იმპორტიორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საქონელი, რომელსაც ისინი ყიდიან ამ წესებს შეესაბამებოდეს.

ზოგიერთ ქართველ მწარმოებელს შეიძლება მოუწიოს თავისი წარმოების წესის შეცვლა. ზოგიერთ იმპორტიორს კი მოუწევს შემოწმება იმ საქონლის უსაფრთხოებისა, რომელსაც ის საქართველოში ყიდის.

- გადაამოწმეთ, შეეხება თუ არა რეფორმა თქვენს საქონელს. თუკი შეეხება, გადაამოწმეთ ვადებიც.
- იცოდეთ, რომ რეფორმების პროცესს კოორდინირებას უწევს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ის მჭიდროდ თანამშრომლობს სააგენტოებთან (საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო, აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო).
- იყავით აქტიურნი, დასვით შეკითხვები და მოემზადეთ.

დამატებითი ინფორმაციისთვის ამავე თემაზე...

- ...იმისათვის, რომ ზუსტად გაარკვიოთ, თუ რაზე შეთანხმდნენ საქართველო და ევროკავშირი სამრეწველო პროდუქტებთან დაკავშირებით, იხილეთ ,,ასოცირების შეთანხმება/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე", მუხლები 44-49 (კარი IV, თავი 3), ასევე, დანართი III-ა და III-ბ, სადაც მოცემულია შესაბამისი საქონლის/სექტორების ჩამონათვალი და რეფორმების ძალაში შესვლის ვადები.

- დამატებითი ინფორმაციისათვის, იმის თაობაზე თუ როგორ ხდება ევროკავშირში პროდუქციის რეგულირება, იხილეთ ევროკომისიის ვებგვერდი.

- ასოცირების შეთანხმება (ინგლისურად) იხილეთ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ვებგვერზე http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_en.htm, ხოლო ქართულად – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერზე http://www.mfa.gov.ge

- ევროკავშირში ექსპორტის მსურველებს შეუძლიათ გაეცნონ საექსპორტო მოთხოვნებს სპეციალურ ვებგვერდზე Export Helpdesk.

- დამატებითი შეკითხვებისთვის დაგვიკავშირდით: Delegation-Georgia@eeas.europa.eu

იცოდით თუ არა, რომ...

.... ISO სტანდარტებს სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაცია შეიმუშავებს, ხოლო ევროკავშირში სტანდარტებს შეიმუშავებენ ორგანიზაციები CEN და CENELEC.

... საქართველოში რეფორმების განხორციელებაში ევროკავშირი ეხმარება სამ უწყებას: საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს, აკრედიტაციის ერთიან ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრს და ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს. სწორედ ეს ინსტიტუტები ახორციელებენ რეფორმებს, კერძოდ, აკრედიტაციის საქმიანობის ზედამხედველობას, საფრთხის შემცველი პროდუქტების გაყიდვის კონტროლს, შესაბამისი სტანდარტების მიღებასა და მეწარმეების ინფორმირებას.